პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 174 (6229)

1978 წ. 5 სექტემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქდესის ცნობა

# საერთაშორისო ეკიპაჟი დედამიწაზე დაბრუნდა

1978 წლის 3 სექტემბერს დედამიწაზე დაბრუნდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ვალერი ბიკოვსკისა და მკვლევარი კოსმონავტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქის ზიგმუნდ იენის საერთაშორისო ეკიპაჟი, რომელმაც წარმატებით შეასრულა ერთობლივ სამუშაოთა პროგრამა „სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-31" ორბიტულ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში. კოსმონავტები ამხანაგები კოვალიონოკი და ივანჩენკოვი განაგრძობენ მუშაობას ორბიტულ კომპლექსში.

„სოიუზ-29" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში — ქალაქ ჯეზყაზგანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 140 კილომეტრზე. ამხანაგები ბიკოვსკი და იენი დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-31" ორბიტულ კომპლექსში საერთაშორისო ეკიპაჟის ერთობლივი მუშაობის დროს სრული მოცულობით შესრულდა გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერ-სპეციალისტებმა მოამზადეს. კერძოდ, კოსმონავტები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, ბიკოვსკი და იენი აწყობდნენ დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების ფოტოგრაფირებას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შესწავლის მიზნით.

„სალუტ-6" სამეცნიერო სადგური, რომელიც უკვე დაახლოებით ერთი წელია განაგრძობს ორბიტულ ფრენას, „ინტერკოსმოსის" ერთიანი პროგრამის შესაბამისად წარმატებით მუშაობდა სამი საერთაშორისო ეკიპაჟი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტთა მონაწილეობით.

„სოიუზ" კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ-6" სამეცნიერო სადგურით საბჭოთა და საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენამ ცხადყო საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის საუკეთესო თვისებები.

საბჭოთა კავშირში მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა გარჯით შექმნილმა თანამედროვე კოსმოსურმა ხომალდებმა და ორბიტულმა სადგურებმა, გაშვებისა და ფრენის მართვის უზრუნველყოფის დედამიწისეულმა საშუალებებმა, აგრეთვე წვლილმა, რომელიც მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიტანეს სამეცნიერო და მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების და საკვლევი სამუშაოების შემუშავება-მომზადებაში, უზრუნველყვეს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით შესწავლისა და ათვისების იმ პროგრამის განუხრელად და გეგმაზომიერი შესრულება, რომელსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ახორციელებენ.



## მძლეოსნობა

### ევროპის ჩემპიონატზე

# საბჭოთა ათლეტების უხვი მოსავალი

ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის ბოლო დღეებში, პრაღის ე. როშიცკის სახელობის სტადიონზე 50 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. გულშემატკივართა ეს უდიდესი ინტერესი კანონზომიერი იყო: სარბიელზე გამოდიოდნენ აღიარებული ფავორიტები — მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. იაშჩენკო, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი, ოლიმპიური ჩემპიონი ი. სედიხი, მსოფლიო რეკორდსმენი კ.-ჰ. რიმი და სხვანი.

თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის სამხტომის სექტორში გამოჩენას ყველა მოუთმენლად ელოდა. ცნობილია, რომ სახელოვანმა სპორტსმენმა შარშან ფეხის ოპერაცია გაიკეთა. მსგავს შემთხვევებში სხვები ხშირად სარბიელს ეთხოვებიან ხოლმე, სანეევმა კი შეუძლებელი შეძლო: საბოლოოდ მხოლოდ სანტიმეტრი(!) წააგო იუგოსლაველ მ. სრეიოვიჩთან და ცხადყო, რომ თანდათან შედის მისთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. გამარჯვებულის შედეგია 16,94 მ.

ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში შეჯიბრება თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისელებისთვის კარგად ცნობილი ვ. იაშჩენკო, რომელმაც თავისი ფენომენალური რეკორდი სწორედ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაამყარა, გდრ-ს გამოჩენილი ათლეტები რ. ბაილშმიდტი და ჰ. ლაუტერბახი, მინსკელი ა. გრიგორიევი და კონტინენტის სხვა ათლეტები, მაგრამ იაშჩენკოს ბადალი ვერავინ აღმოჩნდა. მან 230 სმ-ის დაძლევით მოიგო „ოქრო". რეკორდის გაუმჯობესება კი ალბათ რაღაც ორი კვირით გადადო. „თბილისში, საკავშირო ჩემპიონატში აუცილებლად მივაღწევ მიზანს, იქ თუნდაც ერთი სანტიმეტრით უფრო მაღლა ავწევ მსოფლიო რეკორდის ჰერს", — ასეთი იყო მისი პასუხი ჟურნალისტებისადმი.

ამ შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა მინსკელი გრიგორიევი — 228 სმ. ბაილშმიდტი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ქალთა შორის კონტინენტის ჩემპიონატის ახალ სახეობაში — 400 მეტრზე თარჯრბენში მიუწვდომელი გახლდათ მოსკოველი ტ. ზელენცოვა, რომელმაც არა მარტო პირველი ადგილი დაიკავა, არამედ თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 54,89.

საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გახდა ლენინგრადელი ტ. ანისიმოვა და ისიც თარჯრბენში, ოღონდ 100-მეტრიან დისტანციაზე — 12,67. ამ შედეგმა მას ვერცხლის მედალი მოუტანა, ვინაიდან ანისიმოვაზე 0,05 წამით სწრაფი გამოდგა ოლიმპიური ჩემპიონი ი. კლირი (გდრ).

ქალებმა საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარეს, აგრეთვე, 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. მოსკოველებმა ლ. სტოროჟევამ, ვ. ანისიმოვამ და ლ. მასლაკოვამ, როსტოველმა ლ. კონდრატიევამ 42,52 წამი აჩვენეს და ოქროს მედლები მოიგეს.

უფრო ადრე, სპრინტში მეორე ოქროს მედალი მოიპოვა კონდრატიევამ, ამჯერად 200 მეტრზე რბენაში, ხოლო ჭოკით მხტომელმა ვ. ტროფიმენკომ ერთადერთმა გადალახა ევროპის ჩემპიონატებისთვის სარეკორდო სიმაღლე 555 სმ და კონტინენტზე უძლიერესი სპორტსმენის სახელი დაისაკუთრა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფინელი ა. კალიომიაკი — 550 და მისი თანაგუნდელი რ. პულასი — 545.

უროს ტყორცნაში სპეციალისტები კანონზომიერად მიიჩნევენ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტის, ოლიმპიური ჩემპიონის ი. სედიხის გამარჯვებას. მან პირველივე ცდაზე შეძლო საწონი 77,28 მეტრზე გადაეგდო, მისი მეტოქეებიდან ამ ზღვარის გადალახვა ვერავინ მოახერხა, თუმცა ყველაზე მეტად რ. შტოიკი (გდრ) მიუახლოვდა — 77,24. მსოფლიო რეკორდსმენი რიმი (გფრ) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 77,02.

ამ ჩემპიონატზე თითო-ოროლა სპორტსმენი თუ იყო, რომლებმაც ადრინდელი წარმატება გაიმეორეს. ერთი მათგანი გახლავთ მაკეეველი ნ. ტკაჩენკო. 30 წლის მძლეოსანმა ხუთჭიდში ყველაზე მეტი (4744) ქულა მოაგროვა და უკან ჩამოიტოვა მსოფლიო ექსრეკორდსმენი ბ. პოლაკი (გდრ).

ბელორუსელმა სტაიერმა, 23 წლის ა. ფედოტკინმა ნამდვილი მებრძოლის ხასიათი გამოავლინა 5000 მეტრზე ასპარეზობაში. იგი ვ. ორტისს (იტალია) 0,1 წამით ჩამორჩა, მაგრამ მ. რიფელთან (შვეიცარია) ერთად გაიყო ვერცხლის მედალი, ორივე სპორტსმენმა ერთნაირი შედეგი (13.28,6) აჩვენა და მსაჯთა კოლეგიამაც მეორე ადგილი ორივეს მიაკუთვნა.

ფაქტიურად საბჭოთა სპორტსმენების გ. რომანოვას, ვ. ილიინიხისა და ლ. კალნიცკაიას მიჰყავდათ 1500 მეტრზე რბენა. ოქროს მედალი რომანოვას დარჩა — 3.59,0.

**არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებისა და გდრ-ის გუნდის უშეღავათო ბრძოლა უკანასკნელ სახეობამდე არ შეწყვეტილა. საბჭოთა სპორტსმენებმა 13 ოქროს, 12 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიგეს და ძლიერი მეტოქე ჩამოიტოვეს.**

●

**სურათებზე:** მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, 1978 წლის ევროპის ჩემპიონი ვ. იაშჩენკო (მარცხნივ); უბერებელი ვ. სანეევი — ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ასპარეზობისას.

# ითამაშებენ ვიეტნამელი ფეხბურთელები...

**ისინი** თვრამეტნი არიან — თვრამეტი შავგვრემანი, გიშრისთმება, თხელი ტანის ახალგაზრდა, ჭრელ თეთრ-წითელ მაისურებში გამოწყობილნი. თბილისში ორი დღის წინ ჩამოვიდნენ და ახლა „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიშობენ...

საკავშირო და საქართველოს სპორტკომიტეტების მოწვევით ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ერთ თვეს დაჰყოფს თბილისში.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ო. ნოზაძე დაესწრო სტუმრების ვარჯიშს, ესაუბრა დელეგაციის ხელმძღვანელს ჩუ კუანგს, მის მოადგილეს ნგუენ ვან კუანგს, გუნდის უფროს მწვრთნელს ჩან ზუე ლონგს, მწვრთნელს ტო ვან ხიენს, ნაკრების ექიმს ფამ სუან ნიანს და არბიტრს დაო დინ სუენს.

თბილისში ვიეტნამელ მეგობართა ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა და, კერძოდ, ქართული ფეხბურთის გაცნობა, ერთობლივი ვარჯიშების ჩატარება, ამხანაგური მატჩების გამართვა რესპუბლიკის გუნდებთან. პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქი — იყვნენ მთაწმინდაზე, კუს ტბაზე, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

— თუმცა ფეხბურთი ვიეტნამში არ არის ისეთი მაღალი კლასის, როგორიც თქვენში, მაგრამ იგი პოპულარობით ჩვენთანაც სპორტის პირველი სახეობაა, — გვეუბნებიან სტუმრები. — დიდი სურვილი გვაქვს ფეხბურთში ისეთივე წარმატებებს მივაღწიოთ, როგორც ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში. ყოველ ჩვენგანს მუდამ ახსოვს ხო ში მინის სიტყვები „ვიყოთ წარჩინებულნი სპორტშიც". ჩვენი პრეზიდენტი ხომ თვითონ იძლეოდა ამის მაგალითს — ახალგაზრდობიდანვე მისდევდა ეროვნულ ჭიდაობას, ფრენბურთს, ტანვარჯიშს.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 16-17 წლის ფეხბურთელთაგან შედგება, ადრე უკვე შეხვდა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების თანატოლებს. საბჭოთა ფეხბურთელების შესახებ ადრეც ბევრი გვსმენია — განსაკუთრებით იაშინის, ნეტოს, სტრელცოვის, ტატუშინის, ახლა კი ბლოხინის, კოლოტოვის შესახებ. ბევრს ვსწავლობთ ცნობილი მწვრთნელების მ. იაკუშინის, გ. კაჩალინის, ვ. ლობანოვსკის გამოცდილებიდან. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ადრე საბჭოთა სპეციალისტი ნ. კრილოვი ამზადებდა, ახლა კი სახელგანთქმული ოსტატი ვ. ბუბუკინი ავარჯიშებს ჩვენს არმიელთა გუნდს — ცსკა-ს. კარგად ვიცნობთ ქართველ ოსტატებსაც, ტელევიზიით ბევრჯერ გვინახავს ხურცილავას, მეტრეველის, მესხის, ყიფიანის, შენგელიას ტექნიკური, გააზრებული თამაში. გამოვიტყდებით, გული დაგვწყდა, როდესაც გავიგეთ, რომ თქვენი „დინამო" არ იმყოფება თბილისში, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იუგოსლავიიდან ჩამოსვლის შემდეგ ახლო გავეცნობით მის წევრებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართველი დინამოელები წელს კვლავ მოიპოვებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას, მანამდე კი გისურვებთ იტალიის „ნაპოლისთან" გამარჯვებას. იმ მატჩს 13 სექტემბერს ჩვენც დავესწრებით. დაგვერწმუნეთ, მთელი გუნდი თქვენი გულშემატკივრები ვიქნებით!

• • •

**სურათებზე:** ვიეტნამელი ფეხბურთელები თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე; ნახევარმცველი დამ ფიონგ ბაკგი.

თ. ქიქავას ფოტო.





# მეთორმეტე ყაიმი

**შაბათ-კვირას** ბაგიოში ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XVIII პარტია შედგა.

მეტოქეებმა უფიმცევის დაცვა თანამედროვე თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად გაითამაშეს. მსოფლიო ჩემპიონმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვა.

შემდეგ კარპოვმა შავუჯრედოვანი კუ გაცვალა და ცენტრალური უჯრედების დაპყრობას შეუდგა. მისმა მე-20 და 21-ე სვლებმა გამოიწვია თითო მხედრისა და ლაზიერების გაცვლა.

ენდშპილში კარპოვი ცდილობდა მანევრირების კარგი შესაძლებლობის გამოყენებას, მაგრამ პრეტენდენტი შეუპოვრად იგერიებდა მუქარას. პარტია გადაიდო.

თამაშის განახლებისას კარპოვს ტოგების შანსი რომ მიეღო, გაცვალა კუ და ორი პაიკი, მაგრამ ეტლების ენდშპილში კორჩნოი აქტიურად თამაშობდა, პაიკიც შესწირა. როცა დაფაზე თეორიული საყაიმო პოზიცია შეიქმნა, კარპოვმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა.

აი, პარტიაც:

### კარპოვი — კორჩნოი

**უფიმცევის დაცვა**

1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. კe2 0—0 6. 0—0 კg4 7. კe3 მc6 8. ლd3 e5 9. d5 მb4 10. ლd2 a5 11. h3 კd7 12. კg5 ლe8 13. მh2 მფh8 14. a3 მa6 15. კh6 კ:h6 16. ლ:h6 მg8 17. ლe3 f5 18. ef კ:f5 19. ეac1 მf6 20. g4 კd7 21. f4 ef 22. ლ:f4 მc5 23. ეce1 მfe4 24. ლe3 ლe5 25. მ:e4 მ:e4 26. კf3 მg5 27. ლ:e5+ de 28. კg2 ე:f1+ 29. მ:f1 ეe8 30. მd2 a4 31. ეe3 მფg7 32. მფf2 ეe7 33. c4 b6 34. ეc3 h5 35. მფg3 hg 36. hg კe8 37. c5 bc 38. მe4 მ:e4 39. კ:e4 მფf6 40. ე:c5 მფg5 41. კd3 (ჩაწერილი სვლა) 41. ...ეf7 42. კe2 ეh7 43. კf3 ეf7 44. ეc4 ეh7 45. ეb4 ეe7 46. მფf2 კd7 47. მფg3 კe8 48. მფf2 კd7 49. მფe3 e4 50. კ:e4 მფ:g4 51. მფf2 მფg5 52. კc2 ეe5 53. კ:a4 კ:a4 54. ე:a4 ე:d5 55. მფe3 ეb5 56. b4 ეe5+ 57. მფd4 მფf4 58. ეa8 g5 59. ეc8 ეe4+ 60. მფd5 ეe5+ 61. მფc6 g4 62. ე:c7 g3 63. მფb6 g2 64. ეc1 მფf3. ყაიმი.

ამრიგად, კვლავ წინაა კარპოვი —4:1 (12 ყაიმი).

XIX პარტია დღეს უნდა გაიმართოს. თეთრებით კორჩნოი ითამაშებს.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბიჭვინთაში გაიმართა ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის VI პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. გათამაშდა კარო-კანის დაცვა. პარტია 24-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად ანგარიში გახდა 4:2 მ. ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

# ნიკოლაევსა და ბუენოს-აირესში

**1 ოქტომბერს** ზღვისპირა ქალაქ ნიკოლაევში (უკრაინა) სტარტს აიღებს სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალი. ტურნირში 18 მოჭადრაკემ უნდა მიიღოს მონაწილეობა. შეჯიბრებას წინ უსწრებდა შესარჩევი ტურნირები.

მონაწილეთა შორის იქნებიან საქართველოს წარმომადგენლებიც: 37-ე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ოსტატი ნ. იოსელიანი, ოსტატები, საქართველოს ჩემპიონი თ. ხუგაშვილი, ნ. გურიელი და ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი.

ფინალში პერსონალურად მიწვეულნი ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე და ნ. ალექსანდრია სწორედ ჩემპიონატის დღეებში გაემგზავრებიან ბუენოს-აირესში (არგენტინა), სადაც, როგორც სსრ კავშირის გუნდის წევრები, მონაწილეობას მიიღებენ ქალთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში.

## რაგბი

**კვირას** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი. კიევში თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები „ავიატორი" და „პოლიტეხნიკი". იმარჯვა „ავიატორმა" — 25:10. მოსკოვში „სლავამ" მოუგო თანაქალაქელ რკინიგზელებს — 29:9.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ". თბ. | 11 | 6 | 2 | 3 | 151—109 | 14 |
| „ავიატორი" | 11 | 6 | 2 | 3 | 139—91 | 14 |
| „ფილი" | 11 | 6 | 2 | 3 | 92—99 | 14 |
| „სლავა" | 11 | 6 | 1 | 4 | 165—100 | 13 |
| „ლოკომ". მ. | 11 | 4 | 1 | 6 | 95—101 | 9 |
| „პოლიტექ". | 11 | 1 | 0 | 10 | 89—231 | 2 |







# საიდა გუმბას ახალი მიღწევა

**გუშინწინ** პრაღაში დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი და თბილისის „დინამოს" სტადიონზე სტარტი აიღო საქართველოს პირველობამ. ეს ორი ტურნირი ერთმანეთთან იმით არის დაკავშირებული, რომ ათიოდე დღის შემდეგ სწორედ თბილისში დაიწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელშიც პრაღის ბრძოლების მონაწილენიც დაიცავენ თავიანთი გუნდების ღირსებას. ჩვენი დედაქალაქის „სპორტის დედოფლის" მოყვარულები წლეულს მეორედ გახდებიან დიდი ასპარეზობის მოწმენი.

მანამდე კი აქ, თბილისში ჩვენი რესპუბლიკის ათლეტთა ტურნირში უკონკურსოდ ძალებს ცდიან ზოგიერთი ქალაქის, რესპუბლიკის მძლეოსნები, რომლებიც ქვეყნის ნაკრებში ვერ მოხვდნენ, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატისათვის სწორედ ჩვენს დედაქალაქში ემზადებიან.

„დინამოს" სტადიონი სტუმრებს მომზადებული შეხვდა. ასპარეზობა უნაკლოდ მიმდინარეობდა და შედეგებიც ძირითადად დამაკმაყოფილებელი იყო. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ **საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელის ს. გუმბას წარმატება.**

მას შემდეგ, რაც ეს ქალიშვილი შუბის ტყორცნაში სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ი. გიგაურის** მეთვალყურეობით ვარჯიშობს, შედეგებს ყოველ ტურნირზე აუმჯობესებს. **ახლაც თავისავე რესპუბლიკურ რეკორდს გუმბამ ზუსტად ერთი მეტრი მიუმატა — მის მიერ ნატყორცნმა შუბმა ამჯერად 60,26 მეტრი იფრინა.** რეკორდსმენმა კიდევ ერთხელ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. II ადგილი მის თანაგუნდელს დ. საბაურს (თბილისი I) ხვდა წილად — 49,06. პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა **მ. მელაძემაც** (თბილისი II) — 48,92. ამ სახეობაში უკონკურსოდ ცდიდა ძალას ტ. ბირიულინა (უზბეკეთი) — 54,16 მ.

**ჯ. ფხაკაძეც** (თბილისი I) სპორტის ოსტატის შედეგით გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. მან ტრავმის მერე პირველად სცადა ძალა და 71,22 მეტრი აჩვენა. მეორე შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ ი. ნიკულინს — 69,08.

მასპინძელთაგან ქების ღირსია, აგრეთვე **ბ. მექვაბიშვილი.** როგორც „ლელო" იტყობინებოდა, მან ამას წინათ 100 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, რაც საქართველოს სპრინტერებისთვის კარგა ხანია იშვიათობად იქცა. ახლა მექვაბიშვილმა ეს დისტანცია, როგორც ნახევარფინალში, ისე ფინალში 10,5 წამში დაფარა და 0,2 წამით აჯობა II პრიზიორს თ. ჩიტაძეს (ორივე — თბილისი I). ქუთაისელი ბ. ბატანაგოვი III ადგილზე გავიდა — 10,8.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოდგა ქალთა შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში. ლენინგრადელმა ვ. პროსიანაიამ სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა (11,4), მაგრამ პირველი ადგილი დარჩა თბილისელ **ო. ვიქტოროვას** (12,0) ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, სტუმრები ტურნირში უკონკურსოდ ცდიან ძალებს.

ძალიან დიდი სხვაობა იყო, აგრეთვე, სტუმრებისა და საქართველოს ქალთა შედეგებს შორის 800 მეტრზე რბენაში. ლენინგრადელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა **ო. კუზიუკოვამ** აქ სპორტის ოსტატობა მოიპოვა — 2.04,7. საქართველოს ჩემპიონმა **ვ. სულავამ** (აფხაზეთი) კი ამავე მანძილის გარბენას 25 წამით მეტი დრო მოანდომა.

ამ მხრივ არც ბირთვის მკვრელ ბიჭებს აქვთ საქმე სახარბიელოდ. ტაშკენტელი **გ. სკორიკოვის** ბირთვი 18,34 მეტრზე დაეცა, თბილისელ **თ. ნაცვლაძეს** კი რესპუბლიკის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ბირთვის 15,24 მეტრზე გადავდებაც ეყო.

**ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები: ქალები. რბენა 100 მ.** ო. ვიქტოროვა (თბილისი I) — 12,0, ტ. ბელოვა (აფხაზეთი) — 12,3, ლ. ქავთორონკოვა (აჭარა) — 12,3; **800 მ.** ვ. სულავა (აფხაზეთი) — 2.29,2, ს. დუტოვა (რუსთავი) — 2.31,1, ზ. ძიგოევა (სამხრეთ ოსეთი) — 2.40,0; **სიმაღლეზე ხტომა.** ე. გოლოვკოვა (თბილისი II) — 170, დ. ჯიოევა (სამხრეთ ოსეთი) 150. **ვაჟები. ბირთვის კვრა.** თ. ნაცვალაძე (თბილისი II) — 15,24, ვ. თედეევი (სამხრეთ ოსეთი) — 13,88, ვ. ბერიშვილი (თბილისი I) — 13,26; **უროს ტყორცნა.** ჯ. ფხაკაძე (თბილისი I) — 71,22, თ. დათაძე (თბილისი II) — 53,66; **ჭოკით ხტომა.** ს. ამოსოვი (თბილისი II) — 440, ს. მანეუკოვი (თბილისი I) — 420; **20 კმ სპორტული სიარული.** ვ. პეტროვი (რუსთავი) — 1:38.02,0, ე. კეკელიძე (აჭარა) — 1:45.09,8, ნ. ბობიკოვი (რუსთავი) — 1:51.48,0.

* * *

**სურათებზე:** მარცხნიდან — ს. გუმბა; ბ. მექვაბიშვილი გამარჯვების შემდეგ; 400 მეტრზე ერთ-ერთი გარბენის ფინიშთან.

ო. გელაშვილის ფოტოები.

**სოფლის სპორტი: პრობლემები. პერსპექტივები**

# ერთიანი ძალით

ჩვენს გაზეთებში ტრადიციად იქცა, ასე ვთქვათ, საანგარიშო საუბარი, ინტერვიუ ამა თუ იმ სპორტსაზოგადოების, უწყების, რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის თავკაცებთან. ასეთი სახის მასალები საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ მოპოვებული წარმატებები, აგრეთვე არსებული ნაკლოვანებები, ერთად ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის. სწორედ ამ მიზნით ესტუმრა **მახარაძის რაიონს** ჩვენი კორესპონდენტი, რომელიც ესაუბრა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს **ოთარ კიშინსკის.**

**— წლევანდელ წელს მეათე ხუთწლედის გადამწყვეტი წელია. ძირითადად სწორედ ახლა უნდა ჩაეყაროს საფუძველი მომავალ წარმატებებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, კოლმეურნე გლეხობა, მუშათა კლასის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა ყოველდღიურად დიდ შრომით გამარჯვებებს უპატაკებს სამშობლოს. ამ მხრივ არც ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები რჩებიან ვალში. როგორ არის თქვენთან საქმე, როგორი მაჩვენებლები გაქვთ განვლილ თვეებში?**

— მოგეხსენებათ, ყველა წარმატებას (და, ალბათ, წარუმატებლობასაც) გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს. ჩვენი რაიონის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ბოლო ხნის წარმატებათა მიზეზად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შარშან ჩატარებული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება და მისი გადაწყვეტილებანი. ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემის აზრით, იყო ის, რომ კრებაზე მიგვითითეს არა მარტო ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლზე, არამედ იმაზეც, თუ რა უბანია პირველ რიგში წინ წამოსაწევი, რა ხერხებითა და მეთოდებით. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო აქტივის კრებაზე გამოთქმული აზრი, რომ „მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი სოფლად მძლავრი ბერკეტი უნდა გახდეს ახალგაზრდობის მშობლიურ სოფელში დატოვებისა".

გასაგებია, რომ ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედად სწორედ მასობრივი ფიზკულტურის განვითარება ვაქციეთ. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ციფრს: მარტო წელს, სულ ექვსი თვის მანძილზე რაიონში 4752 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი იყო მომზადებული (წლიური გეგმაა 7600). ამავე პერიოდისთვის მომზადებული გვყავდა 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 56 პირველთანრიგოსანი და 3900 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი. ნახევარი წლის მონაცემები ორიენტირად იმიტომ ავიღე, რომ ამჟამად თითქმის ყოველდღე გვემატება ნიშნოსნები და თანრიგოსნები, ამიტომაც ზუსტი ციფრების დასახელება მიძნელდება. ისე კი, გეგმა-ვალდებულებების შესრულებას კარგი პირი უჩანს.

**— სპორტული ბაზების მხრივ როგორაა საქმე?**

— ამ საკითხს ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონის სპორტულ ბაზებს შეემატა მშვენიერი სპორტდარბაზი „ამირანი", ჭიდაობისა და ძალოსნობის დარბაზები. ახლახანს კი მწყობრში ჩადგა ფრენბურთისა და კალათბურთის კომპლექსური მოედანი, გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. ამჟამად სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სპორტდარბაზისა (400 მაყურებელზე) და ორი საცურაო აუზის მშენებლობა. მალე სოფელ ნატანებში მწყობრში ჩადგება სპორტის სასახლე, ლაითურში შენდება დიდი სპორტული კომპლექსი; უკანასკნელ პერიოდში ბახვში (საცურაო აუზით) და სოფელ მახარაძეში აიგო სპორტული კომპლექსები. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის 8-წლიანი სკოლების კონკურს-დათვალიერებაში I ადგილი ბაილეთის სკოლის სპორტულმა ბაზამ დაიმსახურა.

აქვე უნდა ითქვას, რომ რაიონის ფიზკულტურელები წლების მანძილზე განიცდიან სრულფასოვანი საცურაო აუზის უქონლობას. აბა წარმოიდგინეთ, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების რა ხარისხზე შეიძლება საუბარი, როცა ნორმატივებს მდინარეებში ვაბარებთ. რაც შეეხება ტირს, იგი რაიონის მრავალ სკოლას აქვს. აქ კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი — გვაკლია ინვენტარი, საჭირო აღჭურვილობის შეძენა ერთობ გაძნელდა. მაგალითისთვის სასტენდო სროლა ავიღოთ. სპორტის ამ სახეობას მდიდარი ტრადიციები აქვს მახარაძის რაიონში, დღეისთვის კი ჯგუფები იხურება იმიტომ, რომ ვაზნებსა და თეფშებს ვერ ვშოულობთ...

**— სულ ახლახანს სკოლებში პირველი სექტემბრის ზარი აწკრიალდა. რა მდგომარეობაა რაიონის სპორტსკოლაში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით?**

— ჩვენი რაიონის ბავშვთა სპორტსკოლაში (დირექტორი ა. ზაქარიაძე) 10-დან 17 წლის ასაკამდე 400-მდე მოზარდი ირიცხება, რომლებიც სპორტის 8 სახეობაში მეცადინეობენ, სულ 28 ჯგუფია გახსნილი. აქ დანერგილია მძლეოსნობა, ჭიდაობის ყველა სახეობა, ხელბურთი, ფეხბურთი, ძალოსნობა, კალათბურთი, ჭადრაკი და ფრენბურთი. ნორჩი სპორტსმენების დაოსტატების საქმეს 17 მწვრთნელი ემსახურება, მათ შორის 3 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია. ყველას უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს. სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები მოსწავლეთა შორის: რაიონული სპარტაკიადები, საშემოდგომო პირველობები სახეობების მიხედვით, მაროანიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში და სხვ.

გვყავს ნიჭიერი აღსაზრდელებიც: ოლიმპიური რეზერვის წევრი, საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის სიგრძეზე ხტომაში გენადი ხალიბინი, რომელსაც თვით ვიქტორ სანეევიავარჯიშებს, ათლეტი მოჭიდავე ლევან ბოლქვაძე, სპრინტერი ბაგრატ მექვაბიშვილი, სასტენდო სროლის ოსტატი ზურაბ მეგრელიძე და სხვები.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, აქაც იგრძნობა გარკვეული წინსვლა: ამაღლდა ფიზკულტურის გაკვეთილების ხარისხი, გამოცოცხლდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. თუმცა საქმიანობის თანამედროვე დონეზე წარმართვისთვის ჯერ კიდევ ბევრია საჭირო.

**— ჩვენი წერილის რუბრიკაა „სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები"..**

— პრობლემების შესახებ ძირითადად უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება მომავალს, მას იმედის თვალით ვუყურებთ. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მხარში გვიდგანან, დიდ ყურადღებასა და მხარდაჭერას ვგრძნობთ საქართველოს სპორტკომიტეტისა და რესპუბლიკური სპორტსაზოგადოებისგან, ჩვენი ვალია ვიბრძოლოთ სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის მკვეთრი აღმავლობისთვის და, ამრიგად, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულებისთვის.

დ. გურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრები კარუზოს ქალაქიდან

## დედაქალაქის მეტოქე

**ნეაპოლი** მარტო ე. წ. „ნეაპოლური სიმღერებით" როდია ცნობილი. ოდესღაც ბერძნების მიერ დაარსებული („ნეაპოლისი" ბერძნულად „ახალქალაქს" ნიშნავს) დღევანდელი იტალიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრია. ნეაპოლი (იტალიურად „ნაპოლი") მოსახლეობის რაოდენობით (1.240.000; 1971 წლის აღწერით) იტალიაში მესამეა რომისა და მილანის შემდეგ. გენუასთან ერთად იგი იტალიის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია, ქალაქში მრავალი ქარხანა, საწარმოდაწესებულება და ბანკია.

ნეაპოლი დიდი კულტურული ცენტრია. აქ არის განთქმული უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, კონსერვატორია, ობსერვატორია, რამდენიმე შუა საუკუნის ციხე-დარბაზი, ძველი ტაძრები და ა. შ. ნეაპოლი ბევრ რამეში ეჭიშპება ქვეყნის დედაქალაქს. ტრადიციული კონკურენცია არსებობდა რომის სამეფო საოპერო თეატრსა და ნეაპოლის „სან-კარლოს" შორის, ნეაპოლის უნივერსიტეტი ტოლს არ უდებდა რომისას. ეს ქიშპობა სპორტსაც და, განსაკუთრებით, ფეხბურთს ეხება.

## მრავალი ცდის მიუხედავად

**„ნაპოლი"**, როგორც წესი, იტალიის ყოველ ჩემპიონატს ამლავლობით იწყებს ხოლმე, ჩემპიონობას კი უმიზნებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. გუნდის ფინანსური შესაძლებლობები ყოველთვის დიდი იყო, მას მფარველობდნენ ადგილობრივი მილიონერები, დახმარებას უწევდა მუნიციპალიტეტი. 1966 წელს „ნაპოლიმ" ერთდროულად შეიძინა საერთაშორისო ფეხბურთის გამოჩენილი ვარსკვლავები ალტაფინი და სივორი. აქ ბევრი სხვა უცხოელიც თამაშობდა, გუნდი იბირებდა წამყვან იტალიელ ფეხბურთელებსაც, მაგრამ ამაოდ.

„ნაპოლიმ" უკანასკნელ, 1977-78 წლების ჩემპიონატში VI ადგილი დაიკავა (30 თამაშიდან 30 ქულა, ბურთები 35:31). მართალია, გუნდი გავიდა თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ მიმომხილველებს ეს გარემოება „ნაპოლის" დიდ ტრიუმფად არ მიუჩნევიათ, ვინაიდან თასის ფინალური ნაწილი არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატს დაემთხვა, „იუვენტუსი" და „ტორინო" კი იტალიის თასზე უქლიერესი ფეხბურთელების გარეშე თამაშობდნენ, რამაც ნეაპოლელებს საშუალება მისცა ფინალამდე მიეღწიათ, სადაც წააგეს „ინტერთან" — 1:2.

ასეა თუ ისე, „ნაპოლის" მესვეურებს მუდამ ჰქონდათ და ახლაც აქვთ დიდი პრეტენზიები. მათ მიაჩნიათ, რომ გუნდი მხოლოდ „იუვენტუსს" თუ ჩამოუვარდება და „ტორინოს", „მილანისა" და „ინტერის" დონეზეა.

## ვინ წავიდა

**იტალიაში**, მოგეხსენებათ, კარგა ხნის წინათ აიკრძალა უცხოელი ვარსკვლავების იმპორტი. აზრთა დიდი სხვადასხვაობის მიუხედავად, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით მტკიცედ იცავს ამ კანონს. ამიტომ ვისაც სურს შემადგენლობის გაძლიერება, უნდა გადაიბიროს სხვა გუნდების ძლიერი ფეხბურთელები ან დააწინაუროს ახალგაზრდები. „ნაპოლის" მწვრთნელი ჯუზეპე დი მარციო ერთსაც აკეთებს და მეორესაც. როცა 1977-78 წლების ჩემპიონატი დამთავრდა, გუნდში დიდი ცვლილებები მოხდა.

ჯერ ვილაპარაკოთ გუნდიდან წასულებზე. ძირითადი მეკარე მატოლინი, რომელმაც საუკეთესოდ წარმართა სეზონი, პირველი ლიგის დებიუტანტ „კატანძაროს" წევრი გახდა. ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ „ნაპოლის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ცნობილ მეკარე კასტელინისთან. ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი — მცველი ლა პალმა და ნახევარმცველი მასა პირველი ლიგის მეორე დებიუტანტ „აველინოში" ჩაირიცხნენ. ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელები ფავარო და რესტელი ამიერიდან „ფიორენტინაში" გამოვლენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი გამოჩენილი, თუმცა ხანდაზმული ფორვარდის დაკარგვა. გარემარბი კიარუჯი, რომელმაც თავისი საუკეთესო წლები „მილანში" გაატარა ნაკრებშიც არაერთგზის გამოსულა, „ნაპოლის" შემადგენლობაში შესამჩნევი ფიგურა იყო. უკანასკნელ ჩემპიონატში იგი კარგად თამაშობდა, ექსპერტებმა საუკეთესოთა შორისაც აღნიშნეს. ახლა კი გამოცხადდა, რომ კიარუჯიმ გუნ-უის „სამპდორიაში" გადასვლა ამჯობინა (II ლიგა).

გადასვლები თითქოს ამით დამთავრდა, მაგრამ სულ ახლახან „ნაპოლი" დატოვა ცენტრფორვარდმა სავოლდიმ. ეს ცნობილი თავდამსხმელი ნეაპოლში 2 უკანასკნელი სეზონის განმავლობაში თამაშობდა. ასაკის (31 წლის) მიუხედავად სავოლდიმ, რომელსაც არაერთხელ უთამაშია იტალიის ნაკრებში, უკანასკნელ ეროვნულ ჩემპიონატში 16 ბურთი გაიტანა და № 2 სნაიპერი გახდა როსის შემდეგ. ამიერიდან სავოლდი „ბოლონიაში" ითამაშებს.

## ვინ მოვიდა

**ასეთ** დანაკლისს რა გაუძლებდა, მაგრამ მწვრთნელმა დი მარციომ გუნდის მესვეურებთან ერთად სათანადო თადარიგი დაიჭირა და ახალი ფეხბურთელების დიდი ჯგუფი მიიღო. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია მეკარე კასტელინი „ტორინოდან". კასტელინის იტალიის ჩემპიონის ოქროს მედალი აქვს, არაერთგზის გამოსულა ნაკრებში, სადაც წლების განმავლობაში ძოფის დუბლიორად ითვლებოდა. ამრიგად „ნაპოლის" მარშანდელზე უკეთესი მეკარე ჰყავს.

მარჯვენა ფრთაზე კიარუჯის შეცვლის საკმაოდ გამოცდილი კაზო „ფიორენტინიდან", რომელსაც იტალიის საფეხბურთო წრეებში კარგი ავტორიტეტი აქვს. იგივე ითქმის ნახევარმცველ კაპორალეზე, რომელიც „ტორინოდან" გადმოვიდა. მცველი ტესერი მოვიდა „ტრევიზოდან", თავდამსხმელები მაი[illegible] [illegible], პელეგრინი — „[illegible]"-დან, ფილიპი — [illegible].

რა თქმა უნდა, ასეთი დიდი ცვლილებების შემდეგ ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა დიდ პრობლემად იქცა. დი მარციო ზაფხულის განმავლობაში საკონტროლო მატჩებს ატარებდა, ამოწმებდა ძველი მოთამაშეების ფორმას, ცდიდა ახლებს. ამ მატჩების შედეგად მიმომხილველებმა მიიჩნიეს, რომ ახალმოსულთაგან მეკარე კასტელინის, ნახევარმცველ კაპორალეს, თავდამსხმელებს კაზოსა და ფილიპის მტკიცე ადგილი აქვთ ძირითად შემადგენლობაში. იგივე ითქმის ძველ ფეხბურთელებზე, მცველებზე — ბრუსკოლოტის, ფერარიოსა და ვინიცინიზე, შუა ხაზის მოთამაშეებზე — იულიანოსა და კაპონეზე, თავდამსხმელ პინიზე. გულშემატკივრები კარგად იცნობენ ნახევარმცველ იულიანოს. წლების განმავლობაში იგი იტალიის ნაკრების მოთამაშე იყო. ყოველ შემთხვევაში, როდესაც „სკუადრა აძურა" ნეაპოლის სტადიონ „სან-პაოლოზე" თამაშობდა, მწვრთნელებს იულიანო თითქმის ყოველთვის გამოჰყავდათ მინდორზე და ეს მხოლოდ „რევერანსი" არ იყო ადგილობრივი „ტიფოზების" მიმართ. უკანასკნელი სეზონი ჩინებულად წარმართა თავდამსხმელმა პინიმ.

„ნაპოლი" განახლებული შემადგენლობით 27 აგვისტოს ჩაება იტალიის თასის გათამაშებაში. იტალიელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მას არ უნდა გაუჭირდეს თავის ქვეჯგუფში გამარჯვება.

**მ. სამხარაძე.**

**ფეხბურთი**

# საიდუმლო კოზირი

ენცო ბეარზოტის აღზევება მსოფლიო ფეხბურთში შემთხვევის ამბავია. შემთხვევა რომ არა, მას მუდამ მეორეხარისხოვანი როლი ექნებოდა განკუთვნილი ფაბრის, ვალკარეჯის ან ერერას პოპულარობის ფონზე. შემთხვევამ მოიყვანა ბეარზოტი იტალიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე და სწორედ ამ შემთხვევის წყალობით მოხდა „სკუადრა აძურას" თამაშის თვისობრივი გარდაქმნა.

მანამდე კი იყო ბერნარდინი, რომელმაც მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ვალკარეჯისგან 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კრახის შემდეგ. ახალი მწვრთნელი ახალ პოსტზე თვით არტემიო ფრანკიმ აკურთხა. ბეარზოტის ამ არჩევანში თანაშემწის უპრეტენზიო როლი გამოუყვეს.

ბერნარდინი განათლებული ადამიანი იყო, უფრო თეორიულად მოაზროვნე, ვიდრე პრაქტიკოსი, თანაც ბუნებით რბილი და გაუბედავი. იტალიის ფეხბურთში გამეფებული პრაქტიციზმის წინააღმდეგ ბრძოლას ალლო ვერ აუღო, თორემ სულითა და გულით მისი მტერი იყო. ბეარზოტი თავის შეფს ამ ბრძოლაში ყოველმხრივ მხარს უჭერდა, მით უმეტეს, რომ იტალიური ფეხბურთის განვითარების ტენდენციებზე ანალოგიური აზრისა იყო.

ნაკრებში ერთობლივი მუშაობის ორი წლისთავზე დუეტი დაიშალა. ბერნარდინიმ ვერ გაუძლო საზოგადოებრივი აზრის დაწოლას და გუნდიდან წავიდა. დარჩა თანაშემწე, ძველმოდური ნაკრებისა და ორიგინალური იდეების ანბანი, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ოფიციალური იტალიის წარმოდგენას ფეხბურთზე. ფედერაციამ მაშინვე გამოაცხადა, რომ ბეარზოტი დიდხანს არ დარჩებოდა მარტო. უახლოეს მომავალში მას გვერდში უნდა ამოდგომოდა ახალგაზრდული გუნდის უფროსი მწვრთნელი ვიჩინი. მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩქარობდა ახალი პოსტის დაკავებას — არ ჰქონდა სურვილი მონაწილეობა მიეღო წინასწარ წაგებულ ბრძოლაში.

შეიქმნა ერთობ უხერხული და გამოუვალი სიტუაცია: ნაკრების მწვრთნელს, რომლის შესაძლებლობებსაც ეგზომ საპატიო და პასუხსაგებ პოსტზე ფედერაცია ეჭვის მეტრიანი თვალით ზომავდა, არ ჰყავდა კონკურენტი. ბეარზოტიმ ერთხანს ითმინა — თვითმარქვიას სახელი არ დამბრალდესო, მერე კი დაბნეული ფედერაციის ჩუმი მხარდაჭერით თავისი იდეების განხორციელებას შეუდგა.

ნაკრების ცხოვრებას და მის „სამზარეულოს" ბეარზოტი ჯერ კიდევ ვალკარეჯისთან მუშაობის დროს იცნობდა. სწორედ მაშინ ჩაწვდა ღრმად და არსებითად იტალიურ ფეხბურთში დაკანონებულ დოგმებს და ვინაიდან ხელისშემშლელი არავინ ჰყავდა, გაბედულად მოჰკიდა ხელი საქმეს.

პირველი იერიში მან მიიტანა „კატენაჩიოზე", რომელსაც წლების მანძილზე რკინის მარწუხებში ჰყავდა მომწყვდეული მთელი იტალიური ფეხბურთი. ეს იყო გაბედული ნაბიჯი. „კატენაჩიოს" წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ძლიერებმა და აღიარებულებმაც ვერ გაბედეს, ისე ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი ეს მაგიური სიტყვა. მან კი, საშუალო დონის და მანამდე არაფრით გამორჩეულმა სპეციალისტმა, გაბედა. ბეარზოტიმ მაგრად ჩასჭიდა ხელი თავის კოზირს. მას ამ გზით ან აღიარება უნდა მიეღო, ან თავისი წინამორბედების მძიმე ხვედრი გაეზიარებინა.

ოფიციალური იტალია ელდანაკრავი იყო ბეარზოტის გეგმებით, ვინაიდან პირველივე იერიში მან რელიგიურ კულტად ქცეულ „კატენაჩიოზე" მიიტანა. მაგრამ „ურწმუნო" მწვრთნელის ამოცანას ერთი-ორად აადვილებდა ის, რომ ამ მაღალ პოსტზე სხვა რეალური კანდიდატი არ ჩანდა.

ფეხბურთის ფედერაციაში დაახლოებით ასე ფიქრობდნენ: ვთქვათ დავსაჯეთ ბეარზოტი ამ გაუგონარი კადნიერებისთვის. რა მერე? ვინ უნდა დაიკავოს მისი ადგილი? იქნებ აჯობებს, ვაცალოთ მწვრთნელს ბოლომდე ჩაეფლოს თავისი იდეების ჭაობში, წარუმატებლობის შემთხვევაში კი ყველაფერი მას დაბრალდეს, მხოლოდ მას და სხვას არავის? ასეთი პერსპექტივა შექმნილ სიტუაციაში ფედერაციას უფრო გონივრულად მიაჩნდა.

ბეარზოტი კი... ამასობაში დაუბრკოლებლად ნერგავდა თავის იდეებს. ფეხბურთი პირველ ყოვლისა შეტევაა, რომელშიც მონაწილეობს მთელი გუნდი მეკარის გარდა და არა ერთი ან ორი შტატიანი თავდამსხმელი, — თქვა ერთხელ მან, — ამიტომ ჩვენ ჯერ შეტევა უნდა ვისწავლოთ, ქულებით მანიპულაციას კი ყოველთვის მოვასწრებთ.

ერერას პრაქტიციზმს, ბეარზოტის აზრით, შესაძლოა ჰქონოდა კიდეც გამართლება, მაგრამ მხოლოდ საკლუბო ფეხბურთის ფარგლებში. ერერა სხვა ქვეყნიდან იყო მოსული და ცხადია, მეტ ყურადღებას მორატის მილიონებს უთმობდა (მორატი „ინტერის" მეპატრონე იყო, რომელიც არ ერიდებოდა ხარჯებს უცხოელი „ვარსკვლავების" შესასყიდად) ვიდრე იტალიური ფეხბურთის მომავალზე ფიქრს. „კატენაჩიო" მისთვის კონკრეტულად გამიზნული საშუალება იყო და არა თამაშის ერთადერთი ლოგიკური სისტემა.

ბეარზოტიმ დაასამარა „კატენაჩიო" — ეს მისი მთავარი დამსახურებაა იტალიური ფეხბურთის წინაშე. არგენტინაში მოპოვებული წარმატება და სახელი კი — ამ გაბედული პროგრამის შედეგი, რომელმაც „სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონატის რიგითი მონაწილიდან ერთ-ერთ თანასწორუფლებიან ფავორიტად აქცია. ბეარზოტის ბიოგრაფიისთვის მარტო ეს დამსახურებაა საკმარისი, მაგრამ ჯგუფური ტურნირების შემდეგ იგი სხვა ღლავის დაჭერასაც ცდილობდა.

## დიდი ფეხბურთის ზეიმი

Argentina '78

* * *

იტალია თუ გფრ? ნახევარფინალური ტურნირების პირველი დღე ვეებერთელა კითხვის ნიშნით დაიწყო. ამ კითხვის ნიშანში ორთავე მხარეს თავისი ადგილი და როლი ჰქონდა გამოკვეთილი. ბეარზოტი თავისი ნოვატორული იდეებით, სრულიად მოულოდნელად წინ აღუდგა ბებერ შიონს, წყალწაღებულივით ჯერ კიდევ ხავსს რომ ეჭიდებოდა, თუმცა კი სიმშვიდეს გარეგნულად მაინც ინარჩუნებდა.

იტალია თუ გფრ? მატჩის წინ ეს შეკითხვა კიდევ უფრო დახურდავდა ორი პიროვნების ურთიერთობის დონემდე. ბეარზოტი თუ შიონი?

შეტევა იტალიელთა მთავარი კოზირია — ეს ნათლად გამოჩნდა ჯგუფური ტურნირების პირველ მატჩებში, ე. ი. მსოფლიო ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშს იტალია ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყებს. ან კი რა არის დასაზვერავი? შიონს ეჭვიც არ შეჰქონდა იტალიელთა განზრახვაში და შეძლებისდაგვარად გადააჯგუფა ძალები უკანა ხაზზე.

... ფოგტსი ერთი წუთით არ მოცილებია ბეტეგას, დიტცი — კაუზიოს. მატჩის დამთავრების შემდეგაც მათ ერთად დასტოვეს სარბიელი — თითქოს ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი მწვრთნელის ჩანაფიქრისადმი ერთგულებას. ბონჰოფი აქტიურად ეხმარებოდა ცენტრალურ მცველებს კალტცსა და რიუსმანს. შუა ხაზი ამ მატჩში ყველაზე საიმედოდ იყო ბლოკირებული.

ბეარზოტი რატომღაც არ ჩქარობდა. ყოველ შემთხვევაში შეტევები, რომლისაც აგრერიგად ეშინოდა შიონს, პირველ ტაიმში უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. მსოფლიო ჩემპიონმა სულის მოთქმის საშუალება მიიღო და თვითონაც რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელა, რომელთაგან ერთი კინაღამ გოლით დასრულდა. ჰოლცენბაინმა შეუჩერებლად დაარტყა საკმაოდ შორი მანძილიდან, მაგრამ ძოფი მომზადებული დახვდა მას და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

სამაგიეროდ შესვენების შემდეგ იტალიელთა უპირატესობა უკვე აშკარად გამოიკვეთა. მაიერის კარი რამდენიმეჯერ სასწაულით გადარჩა. „სკუადრა აძურა" გამუდმებით უტევდა, მაგრამ გვიან იყო. ჩემპიონმა მოასწრო უკანა ხაზის სტაბილიზაცია და ორგანიზებულად იცავდა თავს. უკვე ფლოეს ტრამვაც არ იყო საშიში. შიონმა მონახა დაცვის ეფექტური ვარიანტი.

ამ მატჩში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიტანა გოლი. შიონი კარგ გუნებაზე იყო, ბეარზოტი — ნერვიულობდა. თამაშის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელმა კმაყოფილებით აღნიშნა:

— უკეთეს შედეგზე ფიქრი არც შემეძლო.

ბეარზოტი უფრო კონკრეტული იყო მატჩის შეფასებაში:

— ჩვენ გაუმართლებელი სიფრთხილე გამოვიჩინეთ და ამის გამო აზარტი დავაკელით შეტევებს. ბეტეგას არ წყალობდა ბედი, დაღლილი მეჩვენა ტარდელიც. მაგრამ სასურველ შედეგს რომ ვერ მივაღწიეთ, პირველ ყოვლისა, კაუზიოს ბრალია. იგი დღეს სულ არ იყო ფორმაში.

(დასასრული მე-4 გვ.).



ბურთი გაიტანა მარიო კემპესმა... ხაკლესის ფოტო.

## სპორტში მსოფლიო რეკორდით

სამხრამხუტო სპორტში იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ქალთა შორის დაშვების სიზუსტეზე ხტომაში გაიმარჯვა ჯეკი სმითმა (დიდი ბრიტანეთი). II ადგილზე გავიდა სერილ სტირნსი (აშშ). მოსკოველ ნატალია სერგეევას ბრინჯაოს მედალი ხვდა.

შეჯიბრების პირველი დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა: 2000 მეტრი სიმაღლიდან თავისუფალ ვარდნაში კომპლექსური ფიგურების შესრულებას სტირნსმა 6,30 წამი მოანდომა. დაშვების სიზუსტეზე ხტომისა და აკრობატული ნახტომების სამი სერიის შემდეგ იგი ლიდერია. II ადგილზეა ა. შვაჩკო, მესამეზე — სერგეევა.

(საქდესი).

## ფრენბურთი

ლენინგრადსა და ვოლგოგრადში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები.

ლენინგრადში საბჭოთა ფრენბურთელები იოლად „გაუსწორდნენ“ პოლონეთის გუნდს — 3:0. ბრაზილიელებმა სძლიეს ბულგარელებს — 3:2, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებმა — სამხრეთ კორეის წარმომადგენლებს — 3:1.

ვოლგოგრადში ნახევარფინალის ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ დაუმარცხებელი გუნდები — კუბისა და იაპონიის ფრენბურთელები. გაიმარჯვეს „თავისუფლების კუნძულის“ სპორტსმენებმა — 3:0. დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: გდრ-პერუ 3:2, აშშ-ჩეხოსლოვაკია — 3:0.

[illegible] ერთმანეთს შეხვდებიან [illegible] კუბისა და [illegible] გუნდები. ამ ორ შეხვედრაში გამარჯვებულები გაითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებს, ხოლო დამარცხებულები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ.

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

2 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები:

„ქაირათი“ — „ზენიტი“ 3:2.
„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“ 1:0
„სპარტაკი“ — „ზარია“ 4:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თ. | 23 | 14 | 6 | 3 | 33-17 | 34 |
| „შახტიორი“ | 22 | 13 | 3 | 6 | 30-20 | 29 |
| „ჩერნომორ.“ | 22 | 10 | 7 | 5 | 33-19 | 27 |
| „დინამო“ კ. | 23 | 10 | 7 | 6 | 29-18 | 27 |
| „ტორპედო“ | 23 | 10 | 7 | 6 | 25-18 | 27 |
| „დინამო“ მ. | 22 | 10 | 6 | 6 | 27-19 | 26 |
| „სპარტაკი“ | 23 | 10 | 4 | 9 | 31-26 | 24 |
| ცსკა | 23 | 10 | 4 | 9 | 27-31 | 24 |
| „ზენიტი“ | 22 | 7 | 7 | 8 | 24-30 | 21 |
| „ფახთაქორი“ | 23 | 7 | 6 | 10 | 33-35 | 20 |
| „ზარია“ | 22 | 6 | 6 | 10 | 28-33 | 18 |
| „ქაირათი“ | 22 | 6 | 6 | 10 | 20-29 | 18 |
| „ნეფთჩი“ | 22 | 6 | 6 | 10 | 19-25 | 18 |
| „ლოკომოტივი“ | 22 | 4 | 8 | 10 | 18-30 | 16 |
| „არარატი“ | 22 | 6 | 3 | 13 | 14-30 | 15 |
| „დნეპრი“ | 22 | 6 | 2 | 14 | 17-28 | 14 |

### მეორე ლიგა

2 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0**

გათამაშების ამ ეტაპზე ზუგდიდისა და ბათუმის „დინამოს“ თანაკლუბელთა შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ზუგდიდელებმა კვლავ გადაინაცვლეს გათამაშების წამყვან კოლექტივებს შორის, მაგრამ ბათუმელებმა ზედიზედ განიცადეს წარუმატებლობა და ახლა ბრძოლა უხდებათ სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად. ამიტომ მათ უშელავათო ბრძოლა შესთავაზეს მასპინძლებს.

მატჩი დასაწყისი გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა. ორივე გუნდი ცდილობდა ყოველი შესაძლებლობა გამოეყენებინა მოპირდაპირე კარის საიერიშოდ, თამაშში ხშირად უხდებოდათ ჩაბმა მეკარეებს.

განსაკუთრებით დაიძაბა ბრძოლა შესვენების შემდეგ, უპირატესობა საკმაო ხნით აიღეს ზუგდიდელებმა, სტუმრებმა გაძლიერებულ დაცვას მიმართეს. ერთ-ერთ მომენტში ბათუმელთა მეკარე სურგულაძემ მოიგერია დარჯანიას ძლიერი დარტყმა, შემდეგ, უკვე პირიქით, ზუგდიდელთა საჯარიმო მოედანზე შეიქმნა სახიფათო მომენტი და ახლა მეკარე მესხიას მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება.

საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას — 0:0.

**გ. ალშიბაია.**

• • •

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:2, „გასტელო“ (უფა) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:3, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 4:4, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:2, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „დინამო“ (კიროვი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:1.

## საიდუმლო კოზირი

დასასრული

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ემოციებია. ფეხბურთს არსებობის ერთი კანონიერი ფორმა აქვს. ეს ფორმა — თანასწორთა ბრძოლაა. ამ დღეს ძოფიცა და მაიერიც მშრალად გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან, ე. ი. ძალები დაახლოებით თანაბარი იყო.

• • •

ყოველი კალენდარული დღე მსოფლიო ჩემპიონატში, თავისი ოთხი მატჩით, ინფორმაციის ისეთ სიჭარბეს იწვევს, რომ მათი გააზრებისთვის საჭიროა რამდენიმე მშვიდი და შთაბეჭდილებისგან თავისუფალი დღე.

ეს-ეს არის დასრულდა თამაში „რივერ-პლეიტზე“. ჩვენ უკვე ავტობუსში ვართ და პრეს-ცენტრისკენ მივიჩქარით. იქ ორი, არა ნაკლებ საინტერესო ტელერეპორტაჟი გველის, ერთი — მენდოსიდან, მეორე — როსარიოდან.

მეოთხე მატჩი კორდობაში უკვე ჩატარდა. ჰოლანდიამ დიდი ანგარიშით მოუგო ავსტრიას (5:1). ეს ყველაფერი „რივერ-პლეიტზე“ გავიგეთ. იქ, ვეებერთელა შუქტაბლოზე იწერება ყველაფერი, რაც მეზობელ ქალაქში ხდება: ვიცით, რომ ტაიმი ჰოლანდიელებმა მშრალი ანგარიშით მოიგეს (3:0), რომ ერთხელ პენალტი დაინიშნა ავსტრიელთა კარში და რომ ბოლოს და ბოლოს ათამაშდა რეპი, ამ მატჩში ორი გოლის ავტორი. არ ვიცით მხოლოდ, რა სიტუაციაში მიმდინარეობდა ბრძოლა. რატომ დამარცხდა ასე მწარედ ჩემპიონატის გუშინდელი გმირი. არც ის ვიცით, როგორი გუნდია ჰოლანდია, თუმცა კი ამ ანგარიშს დიდი კომენტარი არც სჭირდება.

„რივერ-პლეიტიდან“ პრეს-ცენტრამდე კარგა შორი მანძილია. ნისლი უკვე გაიფანტა, მაგრამ გარეთ უსიამოვნო ქარი უბერავს და ტყვიისფერ ღრუბლებს მიერეკება ქალაქის ცენტრისკენ. ავტობუსში ყველა თავისი საქმითაა დაკავებული. მეც ვცდილობ თავი მოვუყარო პირველ შთაბეჭდილებებს.

იტალიელები გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებენ. მსოფლიო ჩემპიონისაგან კი მეტს ველოდით თავდასხმაში. დაცვაში თითქოს ვერც უპოვნი ნაკლს, მაგრამ მოულოდნელად მაგონდება რამდენიმე საგოლე მომენტი მაიერის კართან. აი, ერთი მაინც რომ გამოეყენებინა იტალიას, მაშინ ხომ არ იქნებოდა იმდენი ლაპარაკი ჩემპიონის გაუვალ დაცვაზე?

იტალიელთა წინა მატჩს არგენტინასთან ტელევიზიით ვადევნებდით თვალს მადრიდის აეროპორტში. მაშინ „სკუადრა აძურამ“ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. დღეს გუნდი ოდნავ დაღლილი გვეჩვენა, არა და რა დროს დაღლაა, ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო.

ნელ-ნელა ფიქრები ჰოლანდიელთა თამაშზე გადამაქვს. რა ზეიმია ახლა გამარჯვებულთა ბანაკში! ან რა გუნებაზე უნდა იყოს ჰაპელი, რომელმაც ამ გამარჯვებით უმძიმესი ბრალდება მოიხსნა.

ეჭვიანი ხალხი არიან ჟურნალისტები — სულ ერთავად რაღაც არარსებულ შეთქმულებებსა და უპატიოსნო ამბებს ეძებენ. არა და, რამდენი სიფრთხილეა საჭირო ამა თუ იმ ადამიანის ქცევის შეფასებისას? მახსენდება გაზეთ „კლარინის“ ორაზროვანი ჭორი ჰაპელზე. რატომ ესაუბრება ყოველი მატჩის წინ იგი ტელეფონით ავსტრიელთა მწვრთნელს სენეკოვიჩს? რა მოხდა მერე, თუ კი ყველაფერი ეს მართალია? ნუთუ არ შეიძლება ჰაპელი და სენეკოვიჩი მეგობრები იყვნენ? ან იქნებ რაიმე საქმიანი საუბარი ჰქონდათ?

გუშინ საღამოს გაზეთში საინტერესო მასალა დაიბეჭდა მწვრთნელებზე. წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ არგენტინის ჩემპიონატს მწვრთნელთა ტოტალური გადადგომა მოჰყვებაო. და მართლაც, შიონმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დადო ფიცი, რომ უსათუოდ დასტოვებდა თავის პოსტს. რამდენიმე დღის წინ მან იგივე გაიმეორა ბუენოს აირესში. მერე მენოტის სიტყვებია მოყვანილი: „როგორც უნდა დამთავრდეს ფინალი, ჩემს მოვალეობას სხვას გადავცემ“. მენოტი არ მალავს მიზეზს: „ძალზე დიდია ფსიქოლოგიური დატვირთვა, ძალზე ულმობელია და შეურაცხმყოფელი კრიტიკა პრესაში“, გასულ ორშაბათს იდალგომ და ბაროტიმ განაცხადეს, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე დატოვებენ თავიანთ პოსტებს.

მაგრამ ზოგმა მწვრთნელმა უკვე შეცვალა ადრინდელი განზრახვა. კალდერონი ფინალური ტურნირის წინ კინაღამ მოხსნა პერუს ფეხბურთის ფედერაციამ. ახლა, ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ, იგი ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. სენეკოვიჩსაც ჩემპიონატის შემდეგ წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ მას მემკვიდრეც კი გამოუნახა მერკელის სახით. სამიოდე დღის წინ სენეკოვიჩი სხვა ხმაზე ამღერდა. ნეტავ დღევანდელი მატჩის შედეგი თუ იმოქმედებს მის გადაწყვეტილებაზე?

...პრეს-ცენტრის სადემონსტრაციო დარბაზი არგენტინელი ჟურნალისტებითაა გაჭედილი. დღეს ისინი პერუს გუნდს გულშემატკივრობენ. ბრაზილიელები ცხადია მენდოსაში არიან, ამიტომ ჟურნალისტთა შორის შეხლა-შემოხლა არ მოხდება, ისე კი ასეთი რამ სხვა დროს, თურმე ხშირად ხდება. წარმოდგენილი მაქვს, რა „ცოდვა-მადლის კითხვა“ იქნება ოთხი დღის შემდეგ არგენტინა — ბრაზილიის მატჩის დროს.

* * *

თამაში ბრაზილიასა და პერუს შორის ნელ ტემპში დაიწყო. ტექნიკა ორივე გუნდს მაღალი აქვს, მაგრამ იმდენად ნელა მოძრაობენ ფეხბურთელები მინდორზე, რომ დაცვა ყველაფერს ასწრებს. მეორე დღეს ამ მატჩის ვიდეოფირის გასინჯვის შემდეგ მენოტი იტყვის: ასეთი ტემპით მოთამაშე ბრაზილია ჩვენთვის საშიში არ იქნებაო.

ბრაზილიელ ან პერუელ ფეხბურთელს ხელს თუ არ შეუშლი, ტექნიკით გაგაბრუებს, დაგიმორჩილებს. ტექნიკა მათ მართლაც ვირტუოზული აქვთ. მაგრამ ყველაფერი ეს ტემპში რომ სრულდებოდეს, უთუოდ ფეხბურთის იდეალთან გვექნებოდა საქმე. სხვათა შორის, ამ იდეალს ყველაზე უფრო არგენტინელი ფეხბურთელები უახლოვდებიან, მაგრამ ამას ნეიტრალური თვალი სჭირდება რომ დაინახო. სპეციალისტთა უმრავლესობა კი დაინტერესებული ხალხია და ამიტომაც არგენტინელთა წარმატების საიდუმლოებას სულ სხვაგან ეძებენ (მსაჯებში, საკუთარი მინდვრის უპირატესობაში, პირად სიმპათიებში და, რა თქმა უნდა, იღბალშიც).

თამაში გრძელდება ისე, თითქოს შენელებულ კადრებს ვუყურებთ. მაგრამ ბრაზილიელთა უპირატესობა უკვე იგრძნობა. დაცვა ფაქტიურად გაუვალია, მოედნის შუაგული მტკიცე კონტროლის ქვეშაა აყვანილი. აი მხოლოდ თავდასხმას აკლია შთაგონება და ხალისი. თითქოს ყველაფერი სწორედ კეთდება, თითქოს ყველა ადგილზეა, თამაში კი არ გამოდის. იქნებ იმიტომ, რომ ყოველ გადამწყვეტ მომენტში ბრაზილიელ თავდამსხმელებს თითო ნაბიჯი აკლდებათ ბურთამდე.

პირველი გოლი გაიტანა დირსეუმ — უნაკლოდ შესრულებულმა „ხმელმა ფოთოლმა“ მაინც თავისი სიტყვა თქვა. კიროგას, პერუელთა მეკარეს, ბრალი არ მიუძღვის გაშვებულ გოლში, სამაგიეროდ მეორე ბურთი მის ნამუსზეა. 70-ე წუთზე ჟილი ზიკომ შეცვალა, ორი წუთის შემდეგ კი მან პენალტები გაიტანა.

სამი მშრალი ბურთი — ეს გამარჯვებაა. ბრაზილიელებს უფლება აქვთ კმაყოფილი იყვნენ შედეგით. სამივე ბურთი შუა ხაზის მოთამაშეებმა გაიტანეს. ეს კარგიცაა, მაგრამ ამავე დროს საგანგაშოც. როდის იტყვის თავის სათქმელს თავდასხმა?

გამარჯვების არითმეტიკული ფორმულა მუდამ ერთნაირია და იგი ორი ქულით გამოიხატება. მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში ყოველი გამარჯვება განსხვავებულ კვალს სტოვებს.

არგენტინამ ამ დღეს პოლონეთს სძლია — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა კემპესმა. პირველი — მე-15, მეორე — 71-ე წუთზე. არგენტინამ თამაშის მსვლელობაში ორი ფეხბურთელი შეცვალა, პოლონეთმა — ერთი. დაბოლოს, გამარჯვებულმა ორი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში, დამარცხებულმა — არცერთი.

მაგრამ შთაბეჭდილება ამ მატჩით სრულყოფილი არ დაგვრჩა. პოლონეთს სულ ცოტა ორჯერ შეეძლო ბრძოლის სურათის შეცვლა. პირველად, როცა დეინამ პენალტი ვერ გამოიყენა და მეორედ, როცა ლიატომ ცარიელ კარში ააცილა მიზანს.

თუმცა ვერც იმას ვიტყვით, არგენტინამ შემთხვევით მოიგო ეს ორთაბრძოლაო. პოლონელები უდავოდ ბედმა გაწირა, მაგრამ ბედი ხომ, როგორც წესი, ძლიერს წყალობს? ამის მაგალითი ფეხბურთში უამრავია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ძალთა მოჩვენებითი თანაფარდობის მიღმა იმალება არგენტინის გუნდის ერთი არსებითი ღირსება — თამაშის უაღრესად მაღალი ტემპი, რომელიც გამოიხატება არა მარტო რბენის სისწრაფეში, არამედ ცალკეულ ტექნიკურ ელემენტთა, პირველ ყოვლისა კი დრიბლინგის შესრულების სისწრაფეში.

როდესაც კემპესი, ბერტონი ან ჰოუსმანი ქარიშხალივით შემოიჭრებიან საჯარიმო მოედანში, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტოქემ უსათუოდ უნდა დაუშვას შეცდომა. ბრაზილიელებსაც აქვთ უაღრესად დახვეწილი ტექნიკა, მაგრამ ამ უპირატესობის რეალიზაციას ისინი, არგენტინელებთან შედარებით, მეტ დროს ანდომებენ.

სისწრაფეში გამოხატული ტექნიკა — აი კოზირი, რომელსაც გარეგნულად თანაბარ სიტუაციაში წარმატება მოაქვს არგენტინელებისთვის.

თამაშის ორგანიზაციაში პოლონეთმა შესაძლოა დაჩაგრა კიდეც არგენტინა. სხვათა შორის, ამ მხრივ არც ფრანგებმა დატოვეს ურიგო შთაბეჭდილება მასპინძლებთან თამაშში. ამიტომ ამბობდნენ — ფრანგებს არ უნდა წაეგოთ ეს შეხვედრაო. მაგრამ პირველს, ისევე როგორც მეორეს, არ ჰქონდა ეს შეუმჩნეველი კოზირი — სისწრაფეში გამოხატული ტექნიკა.

მერე, უფრო მოგვიანებით, დაიწყება თამამი ლაპარაკი არგენტინელთა საიდუმლო კოზირზე, მაგრამ ეს მოხდება ფინალში გამარჯვების შემდეგ. მანამდე კი არგენტინელთა ყოველი წინსვლა ადგილს სტოვებდა ეჭვებისთვის [illegible] ერთი დაუნახავი ღირსების გამო[illegible].

**ნ. ვუვუშვილი.**



## გიწვევთ ახალი საცურაო ბაზა

**სულ** მალე თბილისის ახალი საწყლოსნო კომპლექსის ოთხ აბაზანაში, დარბაზებში ფართოდ გაჩაღდება სპორტული მუშაობა: აქ ივარჯიშებენ მოცურავეები, წყალბურთელები, წყალში მხტომელები — უკვე გამოწრთობილი სპორტსმენები, თანრიგოსნები და ახალბედებიც, ისინი, ვინც სწორედ აქ უნდა ეზიარონ სპორტის ამ სახეობებს.

თბილისის სპორტკომიტეტის ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსის დირექციამ გადაწყვიტა 20 სექტემბრიდან დაიწყოს ყველა ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების დაკომპლექტება.

მსურველებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ კომპლექსის დირექციაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

საწყლოსნო კომპლექსის მისამართია: თბილისი: ლენინის ქუჩის 1-ლი შესახვევი № 34 (სანაპიროზე).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხალხის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26, საზღვარგარეთ — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 101[illegible]